ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა

ისტორია

III ტური

X-XII კლასები

2021-2022 სასწავლო წელი

<u>ინსტრუქცია 1-2 დავალებებისათვის:</u> ერთმანეთს შეუსაბამეთ ორ სვეტში მოცემული ინფორმაცია. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

1. **შეუსაბამეთ ეპოსები მათი შექმნის ორიგინალის ენას:**

	ეპოსი		**ორიგინალის ენა**
A.	შაჰნამე	1	აქადური
B.	ენეიდა	2	სანსკრიტული
C.	გილგამეში	3	ხეთური
D.	რამაიანა	4	ლათინური
		5	ბერძნული
		6	სპარსული

2. **შეუსაბამეთ ნობელის პრემიის ლაურეატი ნობელის პრემიის ნომინაციას:**

	ნობელის პრემიის ლაურეატი		**ნობელის პრემიის ნომინაცია**
A.	მარი სკლოდოვსკა-კიური	1	მათემატიკის დარგში
B.	რობერტ კოხი	2	მშვიდობის განმტკიცების დარგში
C.	მარტინ ლუთერ კინგი	3	ქიმიის დარგში
D.	ჰენრიკ სენკევიჩი	4	არქიტექტურასა და მშენებლობის დარგში
		5	ლიტერატურის დარგში
		6	ფიზიოლოგიასა და მედიცინის დარგში

<u>ინსტრუქცია 3 დავალებისათვის:</u> ყურადღებით გაეცანით ილუსტრაციებს და უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს. დავალების მაქსიმალური ქულაა - 7.



N1

N2

კითხვები:

3.1. დაასახელეთ ილუსტრაციაზე ასახული სამაგიდო თამაშის თანამედროვე სახელწოდება.

3.2. გადმოცემის მიხედვით, რომელ ქვეყანაში გამოიგონეს ილუსტრაციაზე ასახული სამაგიდო თამაში და რა მოითხოვა ჯილდოდ თამაშის შემქმნელმა?

3.3. რომელ ხალხს მიეწერება სამაგიდო თამაშის გავრცელება ევროპაში? დაასახელეთ ილუსტრაციის ნომერი, რომელზეც ასახულია სამაგიდო თამაშის თავდაპირველი ვერსია. აუცილებლად დაასაბუთეთ თქვენი პასუხი ილუსტრაციის მიხედვით.

3.4. რომელი სარაინდო ორდენის წევრები არიან გამოსახული სამაგიდო თამაშისას N1 ილუსტრაციაზე? თქვენი პასუხი დაასაბუთეთ ილუსტრაციაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით.

<u>ინსტრუქცია დავალებისთვის 4:</u> თქვენს წინაშეა დავალების პირობა, რომელსაც გულდასმით უნდა გაეცნოთ და შემოთავაზებული ქვესაკითხების მიხედვით ჩამოაყალიბოთ თქვენი მოსაზრებები და არგუმენტები ქვემოთ წარმოდგენილ თემაზე.

- ***ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებად დაყოფილი.***
- ***ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული დავალება მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.***

დავალების მაქსიმალური შეფასებაა 10 ქულა.

4.1. XII საუკუნეში საქართველოს სამეფო ტახტზე თამარი ავიდა.

- დაასახელეთ თამარის გამეფების კონკრეტული მიზეზი.
- აღწერეთ საქართველოს სამეფო კარზე განვითარებული შიდაპოლიტიკური მოვლენები, რომელმაც ხელი შეუწყო თამარის გამეფებას.
- დაასახელეთ თამარის გამეფების უმთავრესი შედეგი.

4.2. მოიტანეთ ერთი არგუმენტი თამარის გამეფების დადებითად შეფასებისთვის.

4.3. მოიტანეთ ერთი არგუმენტი თამარის გამეფების უარყოფითად შეფასებისთვის.

4.4. დაასახელეთ ადრეული ახალ დროის ევროპულ სახელმწიფოში განვითარებული ანალოგიური მოვლენა. აუცილებლად ახსენით, თუ რაში გამოიხატება ეს ანალოგია.